ეროვნული ბანკის „რეფორმირება“ – კორპორაციული, თუ სახელმწიფო ინტერესი?

ელგუჯა მექვაბიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი საბანკო საკითხებში

ეროვნულ ბანკთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ირგვლივ ბევრი დაიწერა და საინტერესო მოსაზრებებიც გამოითქვა. თუმცა, შეიძლება ამ საკითხს სხვა რაკურსითაც შევხედოთ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცენტრალური ბანკი არის ქვეყნის საბანკო სისტემის სიძლიერის გარანტი. მის ინსტიტუციურ სიმტკიცეზე და ეფექტიან საქმიანობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება. ცენტრალური ბანკის წარმატებითი საქმიანობის განმსაზღვრელი პრინციპია მისი დამოუკიდებლობა, რაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული აშშ-ში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. იგი საფუძვლად დაედო 1914 წელს შექმნილ ფედერალურ სარეზერვო სისტემას, ანუ აშშ-ის ცენტრალურ ბანკს და გამოიხატებოდა იმაში, რომ **ფედერალური სარეზერვო სისტემის მმართველთა საბჭოს წევრები ინიშნებოდნენ და დღესაც ინიშნებიან 14 წლის ვადით**. ამ ვადის ხანგრძლივობით ისინი ჩამორჩებიან მხოლოდ უზენაესი სასამართლოს წევრებს, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მსგავსი პრაქტიკის მიზანი ის არის, რომ მმართველთა საბჭოს წევრები, ისე როგორც მთლიანად ფედერალური სარეზერვო სისტემა, არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე. ცენტრალური ბანკი მონეტარული პოლიტიკის გამტარებელი და მონეტარული ხელისუფალია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარეს ძალაუფლებით აღჭურვილ მეორე ადამიანად მიიჩნევენ ქვეყნის პრეზიდენტის შემდეგ.

საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქტიური მონაწილეობით დაიწერა, ამ ინსტიტუტის მაღალი დონით დამოუკიდებლობის პრინციპს ემყარებოდა. საქართველოს წინა ხელისუფლება (მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონი 1995 წელს შეიქმნა და მასში პერიოდულად შედიოდა შესწორებები) მაქსიმალურად ცდილობდა არ შეეზღუდა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა. ამის შედეგი კი ის იყო, რომ საყოველთაო აღიარებით ეროვნული ბანკი წლების მანძილზე წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფო ინსტიტუტს, არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკისათვის, შედარებით სტაბილურ 1996-97 წლებში, არამედ მოგვიანებით დაწყებულ მწვავე საბიუჯეტო კრიზისის პირობებშიც. **ეროვნული ბანკის სიმყარის, დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის მკაცრი გამოცდა მოხდა 1998 წლის სექტემბერში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 1997 წელს დაწყებულმა მწვავე საფინანსო კრიზისმა 1998 წელს რუსეთის საფინანსო და განსაკუთრებით საბანკო სფეროს კოლაფსი გამოიწვია. რუსეთიდან კრიზისმა საქართველოს საბანკო სისტემაშიც შემოაღწია და სექტემბრის პირველსავე შაბათ-კვირას, როდესაც თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა დაკეტილი იყო, ლარის კურსმა კატასტროფული ვარდნა დაიწყო. მთლიანად საბანკო სფეროში შეიქმნა ძალიან სახიფათო სიტუაცია. აშკარად გამოიკვეთა საბანკო პანიკის წარმოქმნის საფრთხე, რომელსაც შეეძლო დაენგრია ჩამოყალიბების პროცესში მყოფი და ჯერ კიდევ სუსტი საბანკო სისტემა**. სიტუაციიდან გამოსვლა მოხერხდა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ბანკის, მთავრობისა და კომერციული ბანკების შეთანხმებული, გაბედული და სწორი მოქმედების შედეგად. სიტუაციას მართავდა ეროვნულ ბანკში შექმნილი ანტიკრიზისული ჯგუფი. ეროვნული ბანკის საბჭომ ლარის კურსის ვარდ-

ნის შესაჩერებლად მიიღო გადაწყვეტილება ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დოლარის ინტერვენციის შესახებ. დრომ აჩვენა, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რომელმაც საქართველოს საბანკო სისტემა გადაარჩინა. კარგად მახსოვს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის იმჟამინდელი ხელმძღვანელის უმწვავესი რეაქცია ამ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეროვნულ ბანკს საყვედურობდა სავალუტო რეზერვების გახარჯვის გამო. ზემოაღნიშნული ეპიზოდი იმისათვის გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გამესვა ძირითადი დასკვნისთვის: **ეროვნული ბანკის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა არის მისი წარმატებული და ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი და აუცილებელი პირობა.**

სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში ამ დამოუკიდებლობის დაკარგვის აშკარა საფრთხე გამოჩნდა. მავანთა დაჟინებული მცდელობით, თავდაპირველად გაჩნდა ე.წ. **„სავალუტო საბჭოს ფარის“** იდეა, რომლის საფუძვლიანი ანალიზი პროფესორმა ლადო პაპავამ შემოგვთავაზა. მან გააკეთა დასკვნა, რომ **ეს სტრუქტურა არ შეიძლება გამოდგეს ეროვნული ბანკის სრულფასოვან შემცვლელად**. ამ იდეის პრაქტიკული განხორციელება ვერ მოხერხდა და რა იყო ამის მიზეზი, ამაზე დანამდვილებით რამის თქმა ძნელია. შემიძლია მხოლოდ ვივარაუდო, რომ იგი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა თვით პარლამენტის შიგნით. დღეს იგივე ჯგუფი, გაცილებით გაძლიერებული შემადგენლობით, ეროვნული ბანკის დაკნინების ახალ მოდელს გვთავაზობს. მრავალ „ნოვაციათა“ შორის, რასაც ეს იდეა შეიცავს, ჩემის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი: პირველი, ნავარაუდევია **ეროვნული ბანკის სტრუქტურიდან კომერციული ბანკების ზედამხედველობის სამსახურის გამოტანა, რაც არ არის სწორი მოსაზრება**. ჯერ ერთი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ აქამდე ეროვნული ბანკი მთლიანობაში წარმატებით ახორციელებდა საზედამხედველო ფუნქციას და მეორე, **საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ცენტრალური ბანკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კომერციული ბანკების რეგულირება და მთლიანად საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა**. არსებობს ამ პრაქტიკიდან მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი, მაგრამ რატომ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ გამონაკლისით? ბ-ნი **ლადო პაპავა** მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკის დაკნინებას, მის ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტად გადაქცევას მოასწავებს კანონპროექტში გაკეთებული ჩანაწერი იმის შესახებ, რომ **საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა უნდა დატოვოს თანამდებობა ქვეყანაში ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში. ამ მოსაზრების არგუმენტად გვთავაზობენ ე.წ. პროფიციტული ბიუჯეტის დაკანონებას**. ერთი შეხედვით, **აქ თითქმის ყველაფერი ლოგიკურია: ფინანსთა სამინისტრო პასუხს აგებს ბიუჯეტზე, ეროვნული ბანკი კი ინფლაციაზე. თუმცა, ეს კონსტრუქცია მხოლოდ ერთი შეხედვითაა ლოგიკური და რეალისტური**. სინამდვილეში კი სრულიად განსხვავებული ვითარებაა. დავიწყოთ პროფიციტის დაკანონების პრინციპიდან. აუცილებელია ერთმანეთისგან განვასხვავოთ ეკონომიკური და იურიდიული კანონები. ეკონომიკის ფუნქციონირებას განსაზღვრავს ეკონომიკური კანონები, რომლებიც ობიექტური ხასიათისაა, იურიდიული კანო-



ნები კი ეხმარებიან ან ხელს უშლიან ამ პროცესს. პროფიციტული ბიუჯეტის დაკანონება და რეალურად მისი მიღწევა სხვადასხვა რამ არის. უამრავი ფაქტორი არსებობს, რომელმაც ბიუჯეტის პროფიციტის კანონის დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს. და მაინც, თუ **დავუშვებთ, რომ შესაძლებელია პროფიციტული ბიუჯეტის შენარჩუნება ხანგრძლივი დროის მანძილზე, ნიშნავს კი ეს იმას, რომ ინფლაცია შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მონეტარული მიზეზით?** ვფიქრობ, რომ ეს ამას არ ნიშნავს, შემდეგი მიზეზების გამო: **პირველი, ინფლაცია შეიძლება წარმოშვას არამხოლოდ მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, არამედ არც თუ ისე მცირე მნიშვნელობის მქონე მიკროეკონომიკურმა პროცესებმაც, რომლებთან ეროვნულ ბანკს ნაკლები შეხება გააჩნია. მეორე, გასათვალისწინებელია გარეგანი ფაქტორების საკმაოდ მნიშვნელოვანი ზეგავლენა ქვეყნის შიგნით ინფლაციური პროცესების განვითარებაზე, რომლის ზუსტი პროგნოზირება ფაქტობრივად შეუძლებელია. მესამე, მხედველობაში უნდა მივიღოთ ე.წ. მოთხოვნის ინფლაციაც, რომელიც უპირატესად წარმოების პრობლემაა და არაა წმინდა მონეტარული.** ამ პრობლემას ეროვნული ბანკი ეფექტიანად ვერ დაარეგულირებს. **მეოთხე,** ასევე **უნდა გავითვალისწინოთ დანახარჯების ზრდისაგან გამოწვეული ინფლაციის შესაძლებლობა, რომელიც გამოიხატება მონოპოლიური ძალაუფლების მქონე გამყიდველების მიერ საქონელზე ფასების მომატებაში. ამგვარ ფაქტებს დღეს უხვად ვაწყდებით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაშასადამე, ინფლაციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის მიბმა ნიშნავს მის თავზე „დამოკლეს მახვილის“ ჩამოკიდებას და მთავრობის „ხელის ბიჭად“ გადაქცევას. არ მგონია, რომ ამ ტიპის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ქვეყნისთვის რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოს. ჩემის ღრმა რწმენით, ეროვნული ბანკის ზემოაღნიშნული სახით რეფორმირების აუცილებლობის არავითარი ობიექტური საფუძველი დღეს არ არსებობს.** მაშინ რატომ ცდილობენ ასეთი გულმოდგინებით მის განხორციელებას? ჩემი აზრით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. **პირველი, ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა არაფრით არ ჯდება ავტორიტარული მართვის იმ სტილში, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრდა. მეორე, აშკარაა საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ჯგუფის სურვილი მსგავსი მანიპულაციების გზით თავის ხელში მოაქციოს ფინანსურ ნაკადებზე სრული კონტროლი. მესამე, სახეზეა გატარებული ღონისძიებებისადმი „სერიოზული რეფორმირების“ ელფერის მიცემის სურვილი, რითაც ძალიან არის გატაცებული ჩვენი ხელისუფლება.**

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩამოთვლილი მიზეზები სუბიექტური ხასიათისაა, ან სუბიექტურ მიზნებს ემსახურება. ალბათ არ იქნება სწორი, თუ მცირერიცხოვანი ჯგუფების კორპორაციულ ინტერესებს ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესებს ვანაცვალებთ.

ნარმატების არსი არის არა იმაში, თუ რას მიაღწევ, არამედ რაზე მეტი შარი.

რუპერტ მერდოკი

ადამიანის მთავარი მეცნიერებაა აზროვნება; მოდით ვიაზროვნოთ ღირსებულად!

ბ. პასკალი

ნარმატების მთავარი ფორმულაა, იცოდე, როგორ მოქცევ ხალხს.

რუზველტი

იმპორტი ჩვენთან მარტივია

იმპორტი DHL-ით

www.dhl.com

☎ 69 60 60

DHL